საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030160531569616

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/42818 **03** / ივნისი / **2016 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გენადი არველაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი 2016 წლის 11 მაისის №25/2985 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველო-თურქმენეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-3 სხდომის ოქმის პროექტს, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, აღნიშნული პროექტიდან ამოღებულ იქნას 7.2. პუნქტი: "Сторонам рассмотреть возможность реализации продукции объединения «Туркмендермансенагат» Министерства здравоохранения и медицинской промышленности Туркменистана на территории Грузии".

ამასთან, წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველო-თურქმენეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-2 სხდომის ოქმის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების შესრულების თაობაზე:

2015 წლის 21-22 ივლისს, თურქმენეთში ქ. აშხაბადში გამართულ თურქმენეთის ჯანდაცვის ეროვნული პროგრამის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამედიცინო ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა ვლადიმერ გეთიამ და ამავე ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ქრონიკულ დაავადებათა სამმართველოს უფროსმა ნანა მებონია.

ამასთან, 2015 წლის 14-19 დეკემბერს, თურქმენეთში, ქალაქ აშხაბადში ჩატარდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის მონაწილე ქვეყნების რეგიონალური შეხვედრა, კონვენციის დებულებების კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შეფასების მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ესწრებოდა იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი შორენა ოქროპირიძე.

2016 წლის 27-29 აპრილს, თურქმენეთში ქ. აშხაბადში ჩატარდა ჯანმრთლობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური შეხვედრა თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და დაგეგმილი აქტივობები თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე. შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობნენ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ეროვნული ცენტრის, არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ლელა სტურუა და ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ლელა კვაჭანტირაძე.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ვალერი კვარაცხელია